NEWSLETTER (November, 2014)

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა საქართველოს საჯარო დაწესებულებებში - სამი კვლევის პრეზენტაცია

24 ნოემბერს HOLIDAY INN TBILISI-ში გაიმართა პროექტის „საჯარო დაწესებულებების პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულების შესრულების პრაქტიკის გაუმჯობესება“ ფარგლებში IDFI-სა და GYLA-ს მიერ მომზადებული სამი კვლევის პრეზენტაცია.

IDFI-მ ასევე წარმოადგინა საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის პროაქტიული განთავსების მაჩვენებლები.

პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა საქართველოს საჯარო დაწესებულებებში

კვლევაში წარმოდგენილია, თუ რა პრაქტიკა არსებობს საქართველოში ადმინისტრაციული ორგანოების ფინანსური გამჭვირვალობისა და სხვა, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით. კვლევისთვის შესწავლილი იქნა 133 საჯარო დაწესებულება და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ დადგენილებებით მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების დონე.

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საერთაშორისო პრაქტიკა

კვლევაში წარმოდგენილია სამი ქვეყნის პრაქტიკა, სადაც აღწერილი და გაანალიზებულია ავსტრალიაში, კანადასა და იტალიაში საჯარო ინფორმაციის ონლაინ, საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნების გამოცდილება.

საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებების დაცვა საჯარო დაწესებულებებში (საია)

კვლევა 17 ადმინისტრაციული ორგანოდან მიღებულ მონაცემებს აერთიანებს. კერძოდ, საუბარია, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვისა და გაცემის მიზნით 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს სამინისტროების და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

ფარული მოსმენების შესახებ შუამდგომლობების რაოდენობა შემცირდა

IDFI მუდმივად აკვირდება ფარული მიყურადების შესახებ მონაცემების საჯაროობის და ხელმისაწვდომობის საკითხს.

ახალი მონაცემების ანალიზის შედეგად IDFI-მ დაასკვნა, რომ ფარული მოსმენების შესახებ შუამდგომლობების რაოდენობა შემცირდა.

IDFI-მ დამატებითი რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოუწოდა ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით უფრო დეტალური მონაცემების გამოქვეყნებისკენ.

IDFI-ს განცხადების შემდეგ რადიო "სპუტნიკმა" საქართველოში მაუწყებლობა შეწყვიტა

IDFI-მ „Россия сегодня-ს" საქართველოში განხორციელებული პროექტის შესახებ განცხადება გაავრცელა, რომელშიც „რ-რადიოს" „რია ნოვოსტისთან" გაფორმებული ხელშეკრულების გამოქვეყნებას სთხოვდა, რადგან რუსულენოვანი "სპუტნიკის" კონტენტის ტრანზიტული მაუწყებლობის შემთხვევაში დასადგენი იყო, თუ როგორ მოხდებოდა პროგრამული პრიორიტეტების დაცვა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც „რ-რადიოს" სიხშირეზე სხვა კომპანიის კონტენტი გადაიცემოდა.
განცხადების გავრცელებიდან მოკლე ხანში აღნიშნული ხელშეკრულება გაუქმდა და რადიო "სპუტნიკმა" საქართველოში მაუწყებლობა შეწყვიტა.

მკვლელობების სტატისტიკა საქართველოში

შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, IDFI-მ მოამზადა სტატია საქართველოში მკვლელობების სტატისტიკის შესახებ.

აღმოჩნდა, რომ მკვლელობის შემთხვევების მაჩვენებელმა ყველაზე მაღალ ნიშნულს საქართველოში 2007 წელს მიაღწია, მომდევნო წლებში მაჩვენებელი ეტაპობრივად იკლებდა, თუმცა 2012 წელს კვლავ შეინიშნებოდა აღნიშნული დანაშაულის მატების ტენდენცია.



2013 წლის მონაცემები გუბერნატორების ადმინისტრაციებიდან

IDFI-მ სხვადასხვა რეგიონის გუბერნატორების ადმინისტრაციებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქყვეყნა მონაცემები მათ მიერ გაწეული ფინანსური ხარჯების შესახებ. მონაცემები ხელმისაწვდომია www.opendata.ge-ზეც.

2013 წლის მონაცემები აჭარის რეგიონიდან

2014 წლის მარტში IDFI-მ მიმართა აჭარის ა/რ-ის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, რომელიც ეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან მონაცემებს, როგორიცაა: თანამდებობის პირების პრემიები, სახელფასო დანამატები,ავწარმომადგენლობითი ხარჯები, ავტოპარკი და ა.შ.

საქართველო 2020

IDFI-მ ბრემენის უნივერსიტეტთან ერთად გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით დაიწყო ახალი პროექტის, "სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება (ZigB)" განხორციელება.

განცხადება სოციალურ რეკლამასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებზე

IDFI-მ კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისთვის", მედია ორგანიზაციებმა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაავრცელეს განცხადებას სოციალურ რეკლამასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებზე, რომელიც პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო.
განცხადების ავტორებმა პრეზიდენტ მარგველაშვილს კანონპროექტზე ვეტოს დადება სთხოვეს.

Address: 3, Griboedov Street, Tbilisi, 0108, Georgia.
Contact: info@idfi.ge | 00 995 322 921514
Web: www.idfi.ge | www.opendata.ge | Research